მომხმარებელთა საყურადღებოდ

დისტანციურ ხელშეკრულებასთან, შენაძენთან და მოვაჭრესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია

შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი,
დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი,
ნავთლუღის ქუჩა 8ა
საკონტაქტო ნომერი : 0322177070
საიდენტიფიკაციო კოდი: 404923749
ელ-ფოსტა: mobappgeo@mafcarrefour.com

- პლატფორმაზე განთავსებული საქონლის რეალიზაცია ხდება დისტანციური ხელშეკრულების საფუძველზე, რაც ნიშნავს იმას, რომ პლატფორმაზე შეკვეთის განთავსება წარმოშობს მომხმარებლის მიერ გადახდის ვალდებულებას.
- პროდუქციის მიწოდება რეგულირდება პლატფორმაზე განთავსებული წესებითა და პირობებით.
- საქონლის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მომხმარებელს აქვს უფლება საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას დისტანციურ ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელმა თავად უნდა უზრუნველყოს საქონლის დაბრუნება (საკუთარი ხარჯით) მოვაჭრის იმ ფილიალში, საიდანაც მოხდა შეკვეთის მიწოდება. ინფორმაცია მომსახურე ფილიალის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება შეძენილი საქონლის ქვითარზე. თუ დაბრუნებული საქონლის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რომელიც დაკავშირებული არ არის საქონლის ბუნების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დადგენასთან, სხვაობის დაფარვა ასევე ეკისრება მომხმარებელს.
- დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელმა 14 კალენდარული დღის ვადაში უნდა შეავსოს ელექტრონული საქონლის დაბრუნების ფორმა, რომელიც განთავსებულია წინამდებარე ვებ-გვერდზე. მომხმარებელი ვალდებულია უზრუნველყოს ნივთის დაბრუნება ფორმის გაგზავნიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი საქონლის დაბრუნების ფორმა მიჩნეული იქნება გაუქმებულად.
- თანხის დაბრუნება მოხდება მომხმარებლის მიერ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და მოვაჭრის მიერ დაბრუნების ფორმის მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა.
- პლატფორმაზე ჩამონათვალის სახით განთავსებულია საქონლის შესახებ ინფორმაცია, ხოლო დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონკრეტულ ნივთზე დაკლიკებით.
- გარკვეული კატეგორიის საქონელზე ფასი მითითებულია კონკრეტულ მოცულობაზე და გადაითვლება ფაქტობრივი ოდენობით/წონით.
- პლატფორმაზე განთავსებულ საქონელზე მიტანის სერვისი არ არის უზრუნველყოფილი მოვაჭრის მიერ.
- კონკრეტული კატეგორიის ტექნიკაზე საგარანტიო შეკეთების მომსახურების განმახორციელებელი სერვის ცენტრების მდებარეობის შესახებ ინფორმაცია მითითებულია ამ საინფორმაციო ფურცლის ქვედა ნაწილში. ნებისმიერი წუნის აღმოჩენისას, საჭიროა მიმართოთ შესაბამისი ბრენდის სერვის ცენტრს.
- პლატფორმის მეშვეობით რეალიზებულ პროდუქციაზე არ ვრცელდება განვადება.

- შეძენილ საქონელზე მოქმედებს კანონისმიერი გარანტია. კანონისმიერი გარანტია გულისხმობს, რომ საქონლის თავდაპირველი ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს საქონლის შეკეთება (საგარანტიო შეკეთების მომსახურებას დაქვემდებარებული საქონლის შემთხვევაში) ან შეცვლა (სხვა ტიპის საქონლის შემთხვევაში ან/და თუ შეკეთება შეუძლებელია) დამატებითი ხარჯის გარეშე შეძენიდან 2 წლის განმავლობაში. ასეთი ვითარების წარმოშობისას, საჭიროა მომხმარებელმა მიმართოს შესაბამის სერვის ცენტრს (იხილეთ ქვემოთ განთავსებული ინფორმაცია). საქონლის შეკეთება ან შეცვლა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სერვის ცენტრის დასკვნით დადასტურდება თავდაპირველი ნაკლი. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, ხდება საქონლის შეკეთება (შეკეთების ვადა არის გონივრული და დგინდება კონკრეტულ საქონელთან მიმართებაში ინდივიდუალურად), ხოლო თუ შეკეთება შეუძლებელია - საქონლის შეცვლა. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია როგორც შეკეთება, ასევე შეცვლა, მომხმარებელს გადახდილი თანხა უბრუნდება სრულად, ხოლო ნაკლის მქონე ნივთი უბრუნდება მოვაჭრეს.
- კანონისმიერი გარანტიის მოქმედების მიუხედავად, შეუძლებელია ნივთის დაბრუნება და შესაბამისი თანხის დაბრუნება, თუ შემენილია:
  - მალფუჭებადი საქონელი / ან მას მოკლე ვარგისიანობის ვადა აქვს;
  - საქონელი რომელსაც ჰერმეტულად დაცული შეფუთვა დარღვეული აქვს და მისი დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო;
  - აუდიო ან ვიდეოჩანაწერი ან პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის შეფუთვაც დარღვეულია.
  - ჟურნალ - გაზეთები.

სერვის ცენტრების მისამართები:

ტექპოინტი	თბილისი, ზელიაშვილის ქ. # 8	22422215
	თბილისი, ც. დადიანის #7 (ქარვასლა I სართ)	22422215
	ქუთაისი, ა. წერეთლის ქ., 4–4ა	22422215 (2122)
	ბათუმი, ლ. ასათიანი ქ., 31/56–58	22422215 (2121)
Fly სერვისი	თბილისი, ცაბაძის ქ. # 8, სავაჭრო ცენტრი კიდობანი, 2 სართული, #127	599492323/ 322295252
	თელავი, ალაზნის ქ. # 1	593700077
	ქუთაისი, ასათიანის ქ. # 98	579177770
	ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. # 5	557660600; 558970108
ელიტ სერვის	თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N1	2200202
	თბილისი, ვაგზლის 2 (თბ. ცენტრალი)	
	ბათუმი, გორგილაძის ქუჩა N94	
	თელავი, აღმაშენებლის და ალაზნის კვეთა	
	ქუთაისი, ასათიანის 98	
	გორი, გურამიშვილის ქუჩა N71	
	ფოთი, რუსთაველის რკალი 24	
	ზუგდიდი, გამსახურდიას ქუჩა N34	
ტექნოლაინი	თბილისი, ყაზბეგის გამზ. 14	2307010
ტექნოსერვისი	ვაჟა-ფშაველას 21ა	322312000
ვესტსერვისი	თბილისი წერეთლის 69	2357500

,,სავაჭრო სახლი გოლეთიანის“ ავტორიზებული სერვის ცენტრი	სერვის ცენტრის მონაცემები: ქ. თბილისი, ცაბაძის #8ბ, სავაჭრო ცენტრი ,,ოქროს კიდობანი“; მე-3 სართული, მაღაზია #14 ტელ: **(995 32) 2 93 44 77** მხოლოდ ნიკაის ბრენდის პროდუქციასთან დაკავშირებით სერვის ცენტრის მონაცემებია - ქ. თბილისი, გორგასლის გამზ. #91; ტელ.: **(995 32) 2933377**;	service@goletiani.ge
შპს „ნატურლენდი	გიორგი ჭყონდიდელის N87ა,	ტელ: 032 269 25 38
ფრანკო სერვისი-franko service	თბილისი ევროპის პირველი ჩიხი N6/6ბ	995 32 2 312 000
ტექნო სერვისი -Techno Service	თბილისი ვაჟა-ფშაველას 30ა ქუთაისი ირაკლი აბაშიძის 10 ბათუმი ჭავჭავაძის 78/88	TBL- 032 31 20 00 KUT +995 431271200" BTM +995 422251100"
"ტექნოლაინი"_MARVEL	ბათუმი _ჭავჭავაძის და დემეტრე თავდადებულის კვეთა	შორენა/ზაზა 557082332
	ქუთაისი _ჭავჭავაძის 67 გრანდმოლი მე-3სართ, მაღაზია 317	ზურა 591082312
	ზუგდიდი_კოსტავას 28	თამთა 555412312
	ახალციხე_თამარ მეფის 9	ალექსანდრე 598088659
	თელავი_აღმაშენებლის 60	ვახო 595069853
	რუსთავი _შარტავა ლომოურის კვეთა	მაკა 591441082
iSupport / Apple	კოსტავას 76, 0171 თბილისი, საქართველო.	032 2301001

დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის დაბრუნების ფორმა

გთხოვთ დააკოპიროთ აღნიშნული ლინკი და შეიყვანოთ ბრაუზერის ახალ ფანჯარაში:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLScqi6kSXNrYhl-MCgFvnWDwnqoRK9AJQfmTxP8RcMnrJIg1Xg/viewform?vc=0&c=0&w=1&flr=0